ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4216262

ნომერი: AR1635953

თარიღი : 09.10.2018

გაცემის თარიღი : 12.10.2018

გაცნობის თარიღი : 12.10.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ცაგარელი , N 35;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქართლოს ყორანაშვილი პ/ნ 01008026129
- ქ. თბილისი, ცაგარელის ქუჩა #35.

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2913582 (2951248 22.11.2016წ.)
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 7.11.2016

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

01. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის (ამჟამად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ინსპექცია) N8-19/01180241366-17 (24.04.2018) ექსპლუატაციაზე უარის თქმის ბრძანების შესაბამისად.

- გეგმა ±0.00 ნიშნულზე: მცირედით შეცვლილია კიბის უჯრედისა და ავტოფარეხის საპროექტო ნიშნულები, რის ხარჯზეც 2-2 ღერძთან გ-ბ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია მცირე ზომის პანდუსი.
- გეგმა +26.40 ნიშნულზე ა-ა ღერძთან აივანზე გაუქმებულია გამწვანება.
- ტერიტორიაზე გაუქმებულია გამწვანების ნაწილი.

აქედან გამომდინარე წარმოადგინეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ინსპექციის მიერ დამოწმებული ანაზომი პროექტი. პროექტის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს:

- გენგეგმა, კ3 გამწვანების კოეფიციენტის კროკის ჩვენებით, მისი ყველა ზომის და ფართობის დატანით, კ3 კოეფიციენტის საანგარიშო ფორმულის მითითებით.
- ±0.00 ნიშნულის გეგმა, დამატებით მოწყობილი პანდუსის ანაზომი სქემა, გაბარიტული ზომების, ნიშნულების და პროცენტული დახრის მითითებით. მიუთითეთ ეზოდან ლიფტამდე შშმ პირთა გადაადგილების სქემა.
- +26.40 ნიშნულის გეგმა კ2 კოეფიციენტის კროკის და ფართობის მითითებით.

02. .არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.:
წარმოადგინეთ არსებული მდგომარეობის ამსახველი, ყველა საჭირო ხედიდან გადაღებული, განახლებული, დათარიღებული ფოტოსურათები. სურათები ატვირთეთ ერთ ფაილად.

გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.